ოქმი:**ო37.37213501**

თარიღი:**16/12/2021**

ოქმი #1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 15 დკემბერი

ქ. ოზურგეთი

16^{00} – 17^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ.ბიგვავა, გ.ჩავლეშვილი, პ.კიღურაძე, ბ.თოიძე, ქ.ხომერიკი, დ.ჭაკნელიძე, მ.ჩხიკვიშვილი, ალ.ბურჭულაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე -გ.ღურჯუმელიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ა.ჩხაიძე

ეს საკითხი მოიხნა განხილვიდან მერის პირველი მოადგილის გ.ღურჯუმელიძის ინიციატივით-დამატებით შესწავლის მიზნით.

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ა.ჩხაიძე

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ა.ჩხაიძე

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მომოხილვის შესახებ“ - განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გია მამაკაიშვილი

პავლე ჭყონია

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა დაგვიანებულია. ამასთან ერთად მან მოითხოვა ბიუჯეტის კვარტლური ანგარიში წარმოდგენილ იქნას არა მხოლოდ ნაზარდი ჯამით, არამედ კონკრეტულ კვარტალში შესრულებული საბიუჯეტო პარამეტრების შესაბამისად.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, ქ. ოზურგეთში, ჩოხატაურის ქუჩაზე სკვერის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის შედეგების განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თემურ გიორგაძე

6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6228.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 26.29.24.120) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (სკოლის შენობა) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გ.ღურჯუმელიძე

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გია მამაკაიშვილი

ამ საკითხზე მერის პირველმა მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ გააკეთა მოკლე მოხსენება, აღნიშნა, რომ პროექტი წარმოდგენილია კორექტირებული სახით, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, შემოსვლებსა და ხარჯებში ცვლილებები არ შეტანილა, პროექტი პროგრამულთან მიახლოებითაა წარმოდგენილი, შემუშავდა ფინანსთა სამინისტროსა და დამოუკიდებელი ექსპერტების თანამონაწილეობით, ცვლილებები არ განუცდია პრიორიტეტების დოკუმენტსაც. პროექტი განიხილება საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკითხი განსახილველად დაეწერა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

საკრებულოს ბიურომ მიიღო ცნობად ზემოთაღნიშნული საკითხი.

10. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახურის შიდა აუდიტორულ ანგარიშის განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის

საბჭოს“-ს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქ.ხომერიკი

12. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიების სამუშაო გეგმები ბიურომ დაამტკიცა იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება მათი გადამუშავება და დახვეწა.

გადაწყვიტეს:

1.დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი მოიხსნას განხილვიდან დამატებითი შესწავლის მიზნით.

2. N2,3,4,5,6,7,8,10,11,12 საკითხები შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა სამუშაო გეგმები დამტკიცდეს(N13,14,15,16,17 საკითხები).

4.N4 და 9 საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

5. საკრებულოს სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 28 დეკემბერს 11.00 საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი